

## გენერალური ხელშეკრულება ერთდღიანი კრედიტის შესახებ

ერთის მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი მისი პრეზიდენტის (ვიცე-პრეზიდენტი) \_\_\_\_\_ სახით, როგორც კრედიტის გამცემი, ხოლო მეორე მხრივ, \_\_\_\_\_ როგორც

(კომერციული ბანკის დასახელება, მისი ხელმძღვანელის სახელი და გვარი)

კრედიტის მიმღები კომერციული ბანკი, “საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ” დებულების შესაბამისად აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს ერთდღიანი კრედიტის სახით აძლევს ფულად სახსრებს ეროვნული ვალუტით “საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ” დებულების შესაბამისად.

### 2. ეროვნული ბანკის ვალდებულებები

ეროვნული ბანკი ვალდებულია:

1. “საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ” დებულების მე-2 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების შესაბამისად უზრუნველყოს კომერციული ბანკები ინფორმაციით ერთდღიანი კრედიტის გაცემის შესახებ;
2. საკრედიტო ოპერაციის განხორციელების დღეს, გარიგება-განაცხადის დაკმაყოფილების შემდეგ, უზრუნველყოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე გარიგება-განაცხადში მითითებული თანხის ჩარიცხვა.

### 3. კომერციული ბანკის ვალდებულებები

კომერციული ბანკი ვალდებულია კრედიტის დათარვის ვადის დადგომისთანავე ეროვნულ ბანკს დაუბრუნოს ნასესხები თანხა და მასზე დარიცხული პროცენტები.

### 4. განსაკუთრებული პირობები

1. კომერციული ბანკისათვის მიცემული კრედიტი და მასზე დარიცხული პროცენტები უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომერციული ბანკის მთლობელობაში არსებული ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებით, სახელმწიფო ობლიგაციებით, სახაზინო ვალდებულებებით ან ეროვნულ ბანკში

კომერციული ბანკის უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული ნაშთით.

2. კომერციული ბანკი თანახმაა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უშუალოდ განახორციელოს ეროვნულ ბანკში მისი საკორესპონდენტო ანგარიშიდან თითოეულ გარიგებასთან დაკავშირებული ოპერაციები.

3. კომერციული ბანკი თანახმაა კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტების დაფარვის ვადის დადგომისას დავალიანების დაფარვა განახორციელოს, პირველ რიგში, მისი საკორესპონდენტო ანგარიშიდან, ხოლო მასზე რიცხული თანხების უკმარისობის შემთხვევაში – კრედიტის უზრუნველყოფიდან.

4. მხარეების მიერ საკრედიტო ოპერაციებთან დაკავშირებული ვალდებულებების (კომერციული ბანკის გარიგება-განაცხადით განსაზღვრული პირობების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობა, ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხის არასრულად ან დაგვიანებით ჩარიცხვა და სხვა) შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი ჯარიმდებიან დანაკლისი თანხის 0.5 პროცენტით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

#### 5. დამატებითი პირობები

1. ეს ხელშეკრულება ფორმდება 1 წლით და მისი მოქმედება ავტომატურად გრძელდება ყოველი შემდგომი 1 წლით, თუ ვადის დამთავრებამდე არა უგვიანეს 10 დღისა ერთ-ერთმა მხარემ არ მიიღო წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

2. მხარეებს უფლება აქვთ ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, თუ ამას სულ ცოტა 10 დღით ადრე წერილობით აცნობებენ მეორე მხარეს.

3. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

4. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ყველა სადავო საკითხი გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლო წესით.

5. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ეროვნული ბანკის საკრედიტო კომიტეტში, ხოლო მეორე – კომერციულ ბანკში და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

#### 6. მხარეთა იურიდიული მისამართები

საქართველოს ეროვნული ბანკი  
380005, თბილისი, ლეონიძის 3/5  
საქართველოს ეროვნული ბანკის  
პრეზიდენტი (ვიცე-პრეზიდენტი)  
ბ.ა

კომერციული ბანკის დასახელება

კომერციული ბანკის  
ხელმძღვანელი  
ბ.ა

### გარიგება-განაცხადი

საქართველოს ეროვნული ბანკისაგან ერთდღიანი კრედიტის მიღების თაობაზე  
“\_\_\_\_\_” \_\_\_\_\_ 200\_ წ

კომერციული ბანკის დასახელება \_\_\_\_\_

საკორესპონდენტო ანგარიში N \_\_\_\_\_

მისაღები კრედიტის ოდენობა \_\_\_\_\_ ლარი (თანხა ციფრებით და  
სიტყვებით)

მისაღები კრედიტის საპროცენტო განაკვეთი \_\_\_\_\_ (წლიური %)

ეროვნული ბანკისაგან მისაღები კრედიტის საკორესპონდენტო ანგარიშზე

ჩარიცხვის თარიღი “\_\_\_” \_\_\_\_\_ 200\_ წ. მიღებული კრედიტისა და მასზე დარიცხული  
პროცენტის გადახდის თარიღი “\_\_\_”

\_\_\_\_\_ 200\_ წ. კრედიტის უზრუნველყოფა: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (ფასიანი ქაღალდის სახეობა ( უცხოური  
ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული ნაშთი.)

ვადასტურებ, რომ კომერციული ბანკი \_\_\_\_\_ თანახმაა "საქართველოს  
ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების  
გაცემის შესახებ" დებულების პირობებზე. საკრედიტო ოპერაციის  
განხორციელებისას ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში  
კომერციული ბანკი \_\_\_\_\_ თანახმაა უპირობო წესით მოხდეს კრედიტის  
უზრუნველყოფის რეალიზაცია (მე-3 მუხლის მე-4, მე-5,  
მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად) მისი დავალიანების დასათარავად.

კომერციული ბანკის ხელმძღვანელი \_\_\_\_\_ (ხელმოწერა, გვარი, სახელი)  
ბ.ა.

საკრედიტო ოპერაციაში მონაწილეობის შედეგი  
(ივსება ეროვნული ბანკის საკრედიტო კომიტეტის მიერ)

გარიგება-განაცხადის სარეგისტრაციო ნომერი N \_\_\_\_\_

გარიგება-განაცხადის შემოსვლის თარიღი “\_\_\_” \_\_\_\_\_ 200\_ წელი

ეროვნული ბანკის მიერ კრედიტის გაცემის თარიღი “\_\_\_” \_\_\_\_\_ 200\_ წელი

კრედიტის დაბრუნებისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდის თარიღი “\_\_\_”  
\_\_\_\_\_ 200\_ წ.

გაცემული კრედიტის ოდენობა \_\_\_\_\_ ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვებით)

გაცემული კრედიტის საპროცენტო განაკვეთი \_\_\_\_\_ (წლიური %)

საქართველოს ეროვნული \_\_\_\_\_ ბანკი კომერციული ბანკი

(ხელმოწერა, გვარი, სახელი)

(ხელმოწერა, გვარი, სახელი)

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ  
კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი  
კრედიტების გაცემის შესახებ დებულების  
დანართი N3

საქართველოს ეროვნული ბანკის

შეტყობინება N

საკრედიტო ოპერაციების შესახებ

— \_\_\_\_\_ 200 — წელი

200 \_\_ წლის \_\_ \_\_\_\_\_-დან საქართველოს ეროვნულ ბანკი აცხადებს \_\_\_\_\_  
ლარის კრედიტების გაცემას ერთი დღის ვადით, წლიური \_\_ პროცენტო  
განაკვეთით.

გასაცემი კრედიტის ოდენობა გირაოში ჩასაღებ ფასიან ქაღალდებთან  
მიმართებაში:

1. ეროვნული ბანკის სადებოზიტო სერტიფიკატების ნომინალური  
ღირებულების \_\_ პროცენტი;
2. სახელმწიფო ობლიგაციების ნომინალური ღირებულების \_\_ პროცენტი;
3. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების \_\_ პროცენტი.

დაინტერესებულ ბანკებს შეუძლიათ გარიგება-განაცხადი დადგენილი  
ფორმით წარმოუდგინონ ეროვნულ ბანკის სავალუტო და ფულად-საკრედიტო  
ოპერაციების დეპარტამენტს არა უგვიანეს 200\_ წლის \_\_ \_\_\_\_\_ დან ყოველი  
დღის (შაბათ-კვირის გარდა 15.00 საათამდე).

კომერციული ბანკები გაცნობილი უნდა იყვნენ „საქართველოს ეროვნული ბანკის  
მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ“  
დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის  
ფორმის მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში.

კომიტეტის წევრები:

საქართველოს ეროვნული ბანკის  
საკრედიტო კომიტეტი

საქართველოს ეროვნული ბანკის  
სავალუტო და ფულად-საკრედიტო  
ოპერაციების დეპარტამენტი  
0105, თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5 ტ. 44-22-74